ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2014 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 10 ოქტომბრის №32 დადგენილების საფუძველზე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით დაემატა საინფორმაციო–საკონსულტაციო დეპარტამენტი და ამავე ცვლილებით სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა ნაცვლად 41– სა განისაზღვრა 68 ერთეულით.

სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი (ლარი)

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2014 წლის 13 ოქტომბრის N113 უ.ს.რ.ს. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 387 461 ლარით.



სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის პროგრამებისა და ქვეპროგრამების საერთო ბიუჯეტი 2014 წელში განისაზღვრა 6 387 461 ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 937 427 ლარი, გეგმის 93 %.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის შესრულება

დასახელება	2014 წლის გეგმა დამტკიცებული	2014 წლის გეგმა დაზუსტებული	საკასო ხარჯი	შესრულების %
08 - სოფლის მეურნეობის სამინისტრო	6 387 461	6 387 461	5 937 427	93
08 01 – სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	1 282 845	1 272 874	1 245 731	98
08 02 – ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	2 786 488	2 786 488	2 784 622	100
08 03 - აგროსერვისის განვითარება რეგიონში	1 907 868	1 917 839	1 498 759	78
08 04 - ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	410 260	410 260	408 315	100

სამინისტროს მიერ 2014 წელს განხორციელებელი ქვეპროგრამები

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა,

   ბიუჯეტი - 1 293 180 ლარი;

2. სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი 466 450 ლარი;

3. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 250 000 ლარი;

4. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 152 621 ლარი;

5. ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება, ბიუჯეტი - 632 000 ლარი;

6. სასოფლო–სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება, ბიუჯეტი - 115 000 ლარი;

სულ ბიუჯეტი - 2 909 251 ლარი

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

ბიუჯეტი - 1 293 180 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 360 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი. კერძოდ:

1. 250 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 6 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით. მათ შორის მუნიციპალიტეტებში: ქობულეთი 16 ერთეული; ხელვაჩაური - 48 ერთეული; ქედა- 73 ერთეული; შუახევი - 56 ერთეული; ხულო - 45 ერთეული და ქ.ბათუმი -12 ერთეული.
2. 80 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 6 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელათი. მათ შორის მუნიციპალიტეტებში: ქობულეთი - 6 ერთეული; ხელვაჩაური - 8 ერთეული; ქედა- 1 ერთეული; შუახევი - 13 ერთეული; ხულო - 49 ერთეული და ქ.ბათუმი - 3 ერთეული.

3. 20 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 6 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და კარტოფილის სარგავით . მათ შორის მუნიციპალიტეტებში: ქობულეთი- 1 ერთეული; ქედა - 4 ერთეული; შუახევი - 5ერთეული; ხულო - 10 ერთეული.

4. 10 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 6 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და მულჩერით . მათშორის: ქობულეთის - 3 ერთეული; ხელვაჩაური - 6 ერთეული; ქედა - 1 ერთეული.

„სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

ბიუჯეტი - 466 450 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 250 ერთეული მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქცია. კერძოდ:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 33 ერთეული;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 66 ერთეული;

ქედის მუნიციპალიტეტი - 46 ერთეული;

შუახევის მუნიციპალიტეტი - 12 ერთეული;

ხულოს მუნიციპალიტეტი - 22 ერთეული;

ქ.ბათუმი - 71 ერთეული.



„მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა "

ბიუჯეტი - 152 621 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ ხეხილოვანი კულტურების პერსპექტიული ჯიშები. ფერმერთათვის მიწოდებულია:

1. მოცვის 13 750 ცალი ნერგი;
2. კივის 2000 ცალი ნერგი ;
3. სუბტროპიკული ხურმის (ხაჩია) 3500 ცალი ნერგი;
4. ნამყენი კაკლის 8000 ცალი ნერგი;



„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა "

ბიუჯეტი - 250 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის მეფუტკრე ფერმერებს 40 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ ფუტკრის 964 ცალი დადანბლანტის თანამედროვე ტიპის სკა და 30 ერთეული თაფლის საწური ციბრუტი.

,,ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება"

ბიუჯეტი - 632 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებს **40%**–იანი თანაგადახდის პრინციპით მიეწოდათ **50** კგ–იან ტომრებში დაფასოებული დეფეკაციური ტალახი.

საანგარიშო პერიოდში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე მიწოდებული და დარიგებულია **8000** ტ დეფეკაციური ტალახი.

,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება“

ბიუჯეტი - 115 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, კერძოდ სამრეწველო ბაღების გაშენება (მოცვის, ვენახის, კაკლის), ციტრუსის დამხარისხებელი მობილური ხაზებითა და თხილის გამრჩევი მობილური დანადგარებით სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების უზრუნველყოფა, რაც სტიმულს მისცემს ფერმერთა ფართო მასებს დაინტერესდნენ კოოპერირების საკითხით.

ქვეპროგრამის ფარგლებში 11 სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივზე გადაცემული იქნა 3300 ცალი ამერიკული მოცვის, 700 ცალი კაკლის და 5 000 ცალი ვენახის ნერგი, ასევე 4,6 ტონა მინერალური და 120 ტ ორგანული სასუქი, 2 კომპლექტი წვეთოვანი სარწყავი სისტემა, 4 ერთეული მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი და 3 ერთეული თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამრეწველო ბაღების გაშენებისათვის საჭირო საქმიანობები განხორციელდა გეგმის შესაბამისად.



რეგიონში ჩატარებული საგაზაფხულო სასოფლო–სამეურნეო სამუშაოები

2014 წლის სეზონზე რეგიონში პროგნოზით გათვალისწინებული იყო 16 820 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დამუშავება, მათ შორის 9 694 ჰა სახნავ-სათესის და 7 126 ჰა მრავალწლიანი კულტურებისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოები პროგნოზით გათვალისწინებული 16 820 ჰექტრიდან შესრულებულია 16 512 ჰა-ზე – 98,2 %. კერძოდ:

- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 5927 ჰა-ზე (95 %), აქედან ხვნა-თესვა შესრულებულია 1970 ჰა-ზე (99,9 %), ხოლო მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 4137 ჰა-ზე (70%).
- ✓ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 3643 ჰა-ზე (99,9 %), აქედან, ხვნა-თესვა შესრულებულია 1140 ჰა-ზე (100,0 %), ხოლო მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 2503 ჰა-ზე (99,9%).
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 2436 ჰა-ზე (99.8 %), აქედან, ხვნა-თესვა შესრულებულია 2251 ჰა-ზე (99,9 %), ხოლო მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 185 ჰა-ზე (100 %).
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 1692 ჰა-ზე (99,6 %), აქედან, ხვნა-თესვა შესრულებულია 1637 ჰა-ზე (99,6 %), ხოლო მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 55 ჰა-ზე (100 %).
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 2508 ჰა-ზე (100 %), აქედან ხვნა-თესვა შესრულებულია 2453 ჰა-ზე (100 %), მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 55 ჰა-ზე (100 %).
- ✓ ქ.ბათუმის უბნების მიერ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულებულია 306 ჰა-ზე (99,4 %), აქედან ხვნა-თესვა შესრულებულია 243 ჰა-ზე (99,2 %), მრავალწლიან კულტურებში (ბარვა-გასხვლა) 63 ჰა-ზე (100 %).

სასოფლო–სამეურნეო კულტურების წარმოება

საანგარიშო პერიოდში წარმოებულია:

- 13 656,6 ტ მარცვლეული, პროგნოზის 89 %;

  აქედან სიმინდი – 13384,6 ტ, პროგნოზის 90,1%;
- ჯარტოფილი 45 585 ტ, პროგნოზის 96,8 %;
- ბოსტნეული 11 319 ტონა, პროგნოზის 91,3 % (მ.შ. ჯიტრი -3639ტ, 86.8%, პომიდორი 4700ტ, 96,4% და სხვა ბოსტნეული 2980ტ 89,6%);
- თამბაქო 178 ტონა, პროგნოზის 78.6%;
- ყურძენი 1251 ტონა, პროგნოზის 89,4%;
- ჩაი 775 ტონა, პროგნოზის 90,1 %;
- ხილი 10 739 ტონა, პროგნოზის 107,4 % (თესლოვანი 2796 ტ- 109%, ჯურჯოვანი 1081 ტ -98%,

  სუბტროპიკული ხილი 3257 ტ – 110,8%);
- ხორცი **3441ტ** - პროგნოზის **75,8 %;**
- რძე **45 849** ტ - პროგნოზის **94,3%;**
- კვერცხი **9555,1** ათასი ცალი - პროგნოზის **94,4%;**
- თაფლი **382** ტ - პროგნოზის **90,5%;**

სამექანიზაციო სამუშაოები

შპს ,,მექანიზატორისა” და მუნიციპალიტეტებში არსებული სამექანიზაციო ამხანაგობების მიერ დამუშავებულია 10 000 ჰა სასოფლო–სამეურნეო სავარგული.

სასოფლო–სამეურნეო ბარათები

სასაოფლო სამეურნეო ბარათით სულ ისარგებლა 62 572 ბენეფიციარმა (5 308 885 ლარი).
აქედან 0,25-1,25 ჰა–ზე სახნავად გამოყენებული იყო 16 671 ბარათი,
ხოლო 0-0,25 ჰა–ზე 14 608 ბარათი.

2014-2015 წლის ციტრუსის სეზონი

საპროგნოზო მონაცემებით სეზონზე რეგიონში ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი 73 000 ტონას შეადგენდა, მათ შორის: მანდარინი – 67 145 ტონა, ფორთოხალი – 4678 ტონა, ლიმონი – 1177 ტონა.

ციტრუსის სეზონის წარმატებით ჩატარების, მოსავლის უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფისა და ასევე საექსპორტო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხოვანი ციტრუსის ნაყოფის მიწოდების მიზნით, სამინისტრომ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებას უზრუნველყოფდა შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის“ ქობულეთის საკონსერვო ქარხანა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შპს „TCF GEORGIA“, რომელსაც ევროსტანდარტების შესაბამისად დღიურად შეუძლია დაახარისხოს 250 ტონა მანდარინი და აწარმოოს 15000 ცალი 12-14კგ პლასტმასის, ხის ანათალისა და მუყაოს გოფრირებული ტარა. საწარმოს სეზონისთვის მზად ჰქონდა 500 000 ცალი საექსპორტო ყუთი. აღნიშნულ ქარხანაში მიმდინარე წელს დამონტაჟებული იქნა ციტრუსის არასტანდარტული ნაყოფის გადამამუშავებელი ხაზიც.

2014–2015 წლის ციტრუსის სეზონთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულად უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებდა შტაბი. საანგარიშო პერიოდში რეგიონში 30–ზე მეტი ციტრუსის შემფუთავ–დამხარისხებელი საწარმო ფუნქციონირებდა.
სულ ექსპორტზე რეალიზებული იქნა – 24 439 ტონა ციტრუსი.

ციტრუსის ექსპორტზე რეალიზაცია

სულ 24 439 ტონა



დღეისათვის არასტანდარტული ციტრუსის გადამუშავებას უზრუნველყოფს შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის“ ქობულეთის საკონსერვო ქარხანა და შპს ,,TCF GEORGIA“, სულ გადამუშავებულია 9900 **ტონა** არასტანდარტული ციტრუსის ნაყოფი.

მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები

- ,,2014 წლის მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ნოემბრის N2058 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ა(ა)იპ - სოფლის მეურნობის პროექტების მართვის სააგენტოს 2014 წლის არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად გამოეყო 2 000 000 ლარი. კერძოდ, პროექტის ფარგლებში არსტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც 2015 წლის 1 თებერვლამდე სამრეწველო გადამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისაგან 1 კგ არასტანდარტულ მანდარინს შეისყიდიან არანაკლებ 0,20 ლარად ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო გასცემს სუბსიდიას 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე - 0,10 ლარის ოდენობით;

- ა(ა)იპ ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ,,შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2014** წლის **27** იანვრის **N139** განკარგულებით გათვალისწინებული ,,შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში ახორციელებს მანდარინის შემსყიდველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოებისთვის მანდარინის შესასყიდად საჭირო საბრუნავი სახსრების შეღავათიანი პირობებით მიღების ხელშეწყობას, კერძოდ, პროექტის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს სტანდარტული და არასტანდარტული მანდარინის შესაძენად საწარმოების მიერ აღებული სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას.

თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან

აგრარულ სექტორში დასახული პრიორიტეტების წარმატებით განხორციელების მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, კერძოდ:

№	დონორი	ქვეყანა	პროექტის დასახელება	მიმდინარე მდგომარეობა	თანხა
1.	შვეიცარიის განვითარების სააგენტო	შვეიცარია	„მეფრინველეობის განვითარება ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ოთხი ცალი ინკუბატორის შესყიდვა)	პროექტი არ დაფინანსდა	21 948 ლარი
2	იაპონიის საელჩო საქართველოში	იაპონია	„სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ხილ-ბოლსნეულის მწარმოებელ წვრილ და საშუალო ფერმერთა სტიმულირებისათვის აჭარის რეგიონში“	პროექტი არ დაფინანსდა	87 733 აშშ დოლარი
3	პოლონეთის განვითარების სააგენტო	პოლონეთი	„სასწავლო-გაცნობითი აგრო ტური პოლონეთში, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისა და ფერმერებისათვის“	პროექტი განხორციელდება 2015 წლის გაზაფხულზე	10 000 ევრო

4	**TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)**	თურქეთი	„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის არ“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	166 910 აშშ დოლარი
5	**TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)**	თურქეთი	„სტაციონალური სასაკლაოს მოწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	91 200 აშშ დოლარი
6	**TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)**	თურქეთი	„ ხილისა და ბოსტნეულის 200 ტონიანი (მრავალ საკნიანი) სამაცივრე მეურნეობის მოწყობა ა(ა)იპ აგროსერვისის ბაზაზე“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	100 000 აშშ დოლარი
7	**ლიტვის საელჩო საქართველოში**	ლიტვა	მეფუტკრეთა სათემო ბიზნეს ცენტრ „ჩაქვისთავის“ განვითარების ხელშეწყობა	პროექტი განხორციელდა	25 918 ლარი

8	**TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)**	თურქეთი	„ ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი ხელსაწყოებითა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება“	გაიგზავნა სია საჭირო ხელსაწყოების შესახებ	
9	**იაპონიის საელჩო საქართველოში**	იაპონია	„ თევზის სამაცივრე მეურნეობის განვითარება ა (ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე“	პროექტი არ დამტკიცდა	87 733 აშშ დოლარი

მიმდინარე პროექტები

- ✓ EU / UNDP - Enpard Ajara „აჭარაში აგრო სექტორის განვითარების მხარდაჭერა“ – ბიუჯეტი (3 მილიონი ევრო) ითვალისწინებს 2013-2016 წწ. ა(ა) იპ აგროსერვის ცენტრის, ფერმერული მეურნეობებისა და სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას;

- ✓ USAID/EPI (ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა) - ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მეციტრუსე და მებოსტნე ფერმერების სწავლება- კონსულტირება საველე პირობებში, ამერიკელი და ქართველი ექსპერტების მიერ;

- ✓ საქართველოში აშშ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ისრაელის საელჩოები - აგრო საკვალიფიკაციო ტრენინგები დარგის სპეციალისტებისთვის;

- ✓ ნიდერლანდების საელჩო საქართველოში - პროგრამები: PUM (ექსპერტის უფასო კონსულტაცია) და Matchmaking (ქართული და ჰოლანდიური კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება);

- ✓ გერმანიის საელჩო საქართველოში, პროგრამა SES - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში;

- ✓ შვეიცარიის განვითარების ფონდი, Mercy Corps Georgia „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა - „მეცხოველეობის განვითარება აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 2014-2019 წწ“. ბიუჯეტი ჯამში -10 მილიონი შვეიცარული ფრანკი;

- ✓ მიმდინარეობს აქტიური მიმოწერა ავსტრიის, ჰოლანდიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ხორვატიისა და პოლონეთის აგრო სექტორის წარმომადგენლებთან, სამომავლო თანამშრომლობაზე.

ტრენინგები

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო პროგრამებში:

✓ ისრაელი – „მაშავის პროგრამა“ (ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისრაელის სოფლის მეურნეობის სამინისტრო) ტრენინგი თემაზე: „მერძევეობის დარგში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მართვის მეთოდების დანერგვა“ და ,,მეწარმეობა, მერკეტინგი და მოსავლის დამუშავება სოფლის მეურნეობაში”;

✓ ჩინეთის (ქ.პეკინი) სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე: ,,საკვების უვნებლობის მართვა ევრაზიის ქვეყნების წარმომადგენლებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სურსათის უვნებლობის კვლევით ინსტიტუტში“ და ,,ადმინისტრაციული მმართველობა რეგიონის პასუხისმგებელი პირებისათვის “;

✓ აშშ–ში კოჰრანის პროგრამა (აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი). ტრენინგი თემაზე: ,,მეცხოველეობის ფერმის მენეჯმენტი”;

✓ ფინეთსა და ესტონეთში გამართული ,,Prepare Gathering 2014“ სამუშაო შეხვედრა თემაზე: ,,აგრო ევროპის ხმა”, რომელსაც ესწრებოდა ევროკავშირის აგრარული სფეროს სხვადასხვა ფონდებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კორესპონდენციის მიმოქცევა

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში შემოვიდა 821 წერილი, 1496 განცხადება მოქალაქეებიდან. სამინისტროდან გავიდა 963 წერილი. სამინისტროს ძირითად საქმიანობაზე მომზადდა 199 ბრძანება, მივლინება–შვებულებაზე – 376 ბრძანება. სამინისტროში შოთა რუსთველის უნივერსიტეტიდან სტაჟირებას გადის 2 სტუდენტი. ბრძანებები პირად შემადგენლობაზე (დანიშვნა–გათავისუფლება) 28.

კორესპონდენციის ბრუნვა		განკარგულება	ბრძანებები	დადგენილება	წერილები	განცხადებები
შემოსული	მთავრობიდან	14	18	9	77	
	წარმოება–დაწესებულებიდან				546	
	სამინისტროებიდან				76	
	მუნიციპალიტეტებიდან				123	
	მოქალაქეებიდან					1577
გასული	მთავრობაში				77	
	წარმოება–დაწესებულებებში				413	
	სამინისტროებში				195	
	მუნიციპალიტეტებში				82	
	მოქალაქეებთან					100
	გაიცა ცნობები				96	

სამინისტროს მიერ გაწეული საინფორმაციო საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავისი საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალეობის მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, საავტორო პროგრამები, საგაზეთო პუბლიკაციები). მათი მეშვეობით რეგულარულად შუქდება აგრარული დარგის სხვადასხვა სფეროები, ახალი საწარმოების ამოქმედება, პროგრამების მიმდინარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

	№	დ ას ა ხ ე ლ ე ბ ა	რაოდენობა
ტელევიზიებისთვის მიცემული ინტერვიუ	1	ადგილობრივი ტელევიზიები – ,,აჭარის ტელევიზია" ტელეკომპანია - ,,TV-25,	193
	2	ცენტრალური ტელევიზიები – ტელეკომპანია ,,იმედი", ტელეკომპანია ,,რუსთავის საზოგადოებრივი მაუწყებელი ,,პირველი არხი"	61
ტელე-რადიო სავტორო პროგრამებში მონაწილეობა	3	აჭარის ტელევიზიის საავტორო პროგრამა ,,მე ვარ ფერმერი'' ტელეკომპანია ,,TV- –ს სავტორო პროგრამა - ,,დიალოგი" აჭარის რადიოს საავტორო პროგრამა - ,,კომპეტენტური პირი" აჭარის რადოს საავტორო პროგრამა ,,ინდიკატორი"	48
ბეჭდური მედია	4	გაზეთი - ,, აჭარა" გაზეთი - ,,ბათუმელები" აგრარული საქართველო	51
ელექრონული მედია	5	სააგენტოებზე გასული ინფორმაცია	34
სულ:	6		387

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" ძირითადი მიმართულებები

ფერმერთა სწავლება–კონსულტირება

ხილის შრობა–დამუშავება

ნიადაგის აქროქიმიური კვლევა

საქონლის ხელოვნური განაყოფიერება

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ 2014 წელს შესრულებული საქმიანობა

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სამსახურის **2014** წლის საბიუჯეტო ასიგნება განისაზღვრა **1 917 839** ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა **1 498 759** ლარი, გეგმის **78 %**.

<u>სასოფლო–სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახური</u> **–** ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრში" **2014** წლის **31** მარტს განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახური, რომელსაც დაექვემდებარა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა–ხუცუბანში მდებარე ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, დაბა ჩაქვში მდებარე ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფელში მდებარე ვაზის სანერგე მეურნეობა. აღნიშნული სანერგე მეურნეობების მიხედვით სასოფლო–სამეურნეო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ხასიათის სამუშაოები იქნა ჩატარებული.

<u>საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახური</u> **-** საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან ჩატარებულია **150**-ზე მეტი შეხვედრა. სწავლება-კონსულტირება ყოველთვის გამოირჩეოდა ხალხმრავლობითა და მაღალი დაინტერესებით. მოსახლეობას კონსულტაციები ეძლეოდა სატელეფონო საუბრებითაც. საანგარიშო პერიოდში ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებიდან ნიადაგის ნაყოფიერების დადგენის მიზნით აგროქიმიური გამოკვლევა ჩაუტარდა **76** ფერმერის ნაკვეთს და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ამავე პერიოდში მსხ. რქ. პირუტყვზე განხორციელდა ხელოვნური დათესვლის **1951** შემთხვევა. წინა წელს განხორციელებული მსხ. რქ. პირუტყვის ხელოვნური დათესვლიდან მიღებულია **270** ხბო. ხბოების ფიზიოლოგიური და გარეგნული მონაცემები ბევრად სჭარბობს თავის წინამორბედებს. ამიტომაც შეიმჩნევა მოსახლეობის მზარდი დაინტერესება ამ საქმიანობისადმი.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისა“ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ერთობლივი საქმიანობის შესახებ

2014 წლის **27** მაისს ხელი მოეწერა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და „**ENPARD AJARA**”–ს წარმომადგენლობას **(UNDP)** შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

მომზადდა და დაიბეჭდა **1000** ცალი ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს გაზეთი „გუთნეული“, რომელიც უსასყიდლოდ დაურიგდათ რეგიონის ფერმერებს; ასევე დაიბეჭდა აგრარული დარგის **7** სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი ლიტერატურა (მეცხოველეობა, საკვები კულტურების აგროწესები და სხვა), რომელიც გადაეცა დარგით დაინტერესებულ პირებს; ციტრუსოვანთა, ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობებში არაერთხელ ჩატარდა აგრო და პრესტურები; შესყიდული იქნა მეფრინველეობის დარგში გამოსაყენებელი ინკუბატორები და მათი აქსესუარები, ასევე **6** ერთეული მარცვლეულის დამაქუცმაცებელი დანადგარი (მინი წისქვილი), რომლებიც კომისიური წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებს; ვაზის ნერგების წარმოებისათვის შეძენილი იქნა **60000**ცალი ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე; ქობულეთის სანერგე მეურნეობაში მდებარე სათბურისათვის შეძენილი იქნა საქვაბე დანადგარი, საშრობი დანადგარების სტელაჟები, ციფრული თერმომეტრები, პერსონალის სამუშაო უნიფორმები და სხვა. **2014** წლის დასასრულს გაეროს პროგრამით დაფინანსების ფარგლებში შესყიდული იქნა სპეციალური დანიშნულების ორი ერთეული კონტეინერი (ჰიდროპონიკის სისტემით) და ერთი ერთეული სატვირთო ავტომანქანა.

მემორანდუმი

2014 წლის **5** აგვისტოს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო–კვლევით ცენტრთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც კვლევითი ცენტრის მეცნიერ–თანამშრომლები აგროსერვის ცენტრში არსებულ ვაზისა და ხეხილის ნერგებს შეისწავლიან. გამოკვლევებისას მოხდება ხეხილოვანი კულტურების ახალი პერსპექტიული ჯიშების კომპლექსური შესწავლა, რაც ითვალისწინებს ნერგების პასპორტიზაციას, კერძოდ კი დადგინდება ცალკეული კულტურების ვეგეტაციის დასაწყისი და ვეგეტაციის დასასრული. ასევე ზამთარგამძლეობა, ნაყოფის სიმწიფის პერიოდი, მავნებელი დაავადებების მიმართ გამძლეობა, ოპტიმალური აგროტექნიკური ფონის შემუშავება. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის გვარა–ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის ნერგები მათი შესწავლისა და გამრავლების შემდეგ მიეწოდებათ ფერმერებს, რაც ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში არსებული კულტურების გამრავალფეროვნებასა და გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი”





სსიპ ,,ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის" მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **2014** წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის **2014** წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **410 260** ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 408 315 ლარი, გეგმის 100 %.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციებიდან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის, სასმელი წყლის, ჩამდინარე წყლის, მდინარის წყლის, აუზის წყლის, სუსტალკოჰოლური სასმელების, ზღვის წყლის, სადეზინფექციო საშუალებების, ჩამონაბან-ჩამონარეცხის, ატმოსფერული ჰაერის, ხმაურის, განათების, ნიადაგის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების, პათოლოგიური მასალის ცოფზე, მავნებელ-დაავადებების შესწავლის მიზნით სსიპ ,,ლაბორატორიული კვლევით ცენტრში" შემოსული იქნა 11 406 ნიმუში.

სსიპ ,,ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი"-ს მიერ 2014 წელი ჩატარებული ლაბორატორიული კვლევები

№	ნიმუშის/სინჯის დასახელება	რაოდენობა	დამკვეთი
1	მცენარეული სასურსათო პროდუქტი	177	სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"
		79	კერძო სექტორი
2	ცხოველური სასურსათო პროდუქტი	556	სსიპ ,,შემოსავლების სამსახური
		463	სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"
		81	კერძო სექტორი
3	მზა კერძი	109	კერძო სექტორი
		38	სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"
4	სასმელი წყალი	386	სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"
		162	მუნიციპალიტეტები
		332	კერძო სექტორი
5	ჩამდინარე წყალი	210	გარემოს დაცვა
		124	შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი"
		32	კერძო სექტორი
6	მდინარის წყალი	17	კერძო სექტორი
7	აუზის წყალი	12	ქ.ბათუმის მერია
		14	კერძო სექტორი
		4	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
8	სუსტალკოჰოლური სასმელები	33	სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"
9	ზღვის წყალი	150	გარემოს დაცვა
10	სადეზინფექციო საშუალება	33	ქ.ბათუმის მერია

11	ჩამონარეცხ-ჩამონაბანი	6571	ქ.ბათუმის მერია
		800	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
		56	კერძო სექტორი
12	მზა საკვები კალორიულობაზე	258	ქ.ბათუმის მერია
13	განათება	348	ქ.ბათუმის მერია
14	ხმაურის განსაზღვრა	11	ქ.ბათუმის მერია
		9	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
15	ატმოსფერული ჰაერის განსაზღვრა	132	გარემოს დაცვა
16	მზა საკვები კალორიულობაზე	46	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
17	ნემატოდებზე	94	სსიპ ,,შემოსავლების სამსახური
18	მავნებელ-დაავადებებზე	14	კერძო სექტორი
19	პათოლოგიური მასალა ცოფზე	9	კერძო სექტორი
20	ნიადაგი	6	კერძო სექტორი
21	მარილი	40	კერძო სექტორი
	სულ ჯამი	11406	

ცენტრის სპეციალისტები აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აიპ(ი) ,,აგრო-სერვის ცენტრი“-ს სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ რეგიონის მუნიციპალიტეტის თემებში ციტრუსოვანი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფიტოსანიტარულ მონიტორინგში. საჭიროების შემთხვევებში მავნებელ-დაავადებების დასადგენად ხდებოდა ნიმუშების აღება. ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე ფერმერებს, ეძლეობდა შესაბამისი რეკომენდაციები მცენარეთა წამლობის, მოვლის და სხვა გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

თვითმმართველი ერთეული	გასვლების რაოდენობა	აღებული ნიმუშების რაოდენობა	გაცემული რეკომენდაციები
ქობოლეთი	**10**	**3**	**14**
ხელვაჩაური	**4**	**2**	**8**
ქედა	**8**	**6**	**21**
შუახევი	**8**	**5**	**16**
ხულო	**10**	**5**	**17**
სულ	***40***	***21***	***76***

ცენტრმა აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით მიმდინარე წელს წარმატებით გაიარა გამოცდა სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ საერთაშორისო სტანდარტის სსტ ისო/იეკ **17025**-ის შესაბამისად პარაზიტოლოგიური მიმართულებით, კერძოდ სასმელ წყალში (წყალმომარაგების ცენტრალიზირებული და არაცენტრალიზირებული სისტემა), ზედაპირულ წყლებში (მდინარე, ზღვა, ტბა) და აუზის წყლებში დიზენტერიული ამებისა და ლამბლიების ცისტების კვლევებზე.

გმადლობთ ყურადღებისთვის !

ბათუმი, აკ. კომახიძის 1. №119

ტელ: 24 78 41

www.moa.ge